



სააპელაციო საბჭოს
გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 3 21 0000315060



17/03/2021

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2021 წლის 4 მარტს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №193999) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის №50846 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2021 წლის 16 მარტს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2021 წლის 4 მარტის №193999 სააპელაციო საჩივარი „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 17 მარტის სხდომის №304391 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. ოკრიბელაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

